პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 206 (9982) | სამშაბათი, 31 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის (მე-2 გვერდი).

ჩაის პლანტაციებში. — უხვი მოსავლის რგოლი (მე-2 გვერდი).

პარტიულ თემაზე. — პარტიული კრება კომუნისტთა აღზრდის სკოლაა (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მშენებლობა. — საქალაქო საბჭოს აღმასკომი და ქარხნის დამხმარე მეურნეობა (მე-2 გვერდი).

მივცეთ შავ მეტალურგიას მეტი მაგნიტკი (მე-3 გვერდი).

ყვარლის რაიონში (მე-3 გვერდი).

ა. ოვანესოვი. — რატომ კოტრდებიან ამერიკელი ფერმერები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის დონე

ცხოველი ინტერესით სწავლობენ საბჭოთა ადამიანები სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილი მოწინავე კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევებსა და გამოცდილებას. ათასობით ექსკურსანტი, რომლებიც გამოფენაზე იყვნენ, სოფლად ბრუნდება ახალი დიდი ფიქრებით, შეიარაღებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით განვითარების უმდიდრესი გამოცდილებით.

კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს მოწინავე გამოცდილება მიაჩნიათ შემოქმედებითი შთაგონების მძლავრ წყაროდ. ამ გამოცდილების ათვისება და დანერგვა მათ მიაჩნიათ ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისა და აყვავების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად. ახლა, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, სოფლის მეურნეობის მშრომელები მოელიან კარგ, შინაარსიან წიგნებს, ბროშურებს, ალაკატებს, ფურცლებს, რომლებშიც ღრმად იქნება ნაჩვენები მუშაობის იმ ხერხებისა და მეთოდების არსი, რომლებსაც მოწინავეები იყენებენ ყველა კულტურის უხვი მოსავლისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში.

ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის მითითებებს, ჩვენმა ცენტრალურმა და ადგილობრივმა გამომცემლობებმა რამდენადმე გააუმჯობესეს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოშვება. სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ უკანასკნელ წელიწადში გამოსცა ორასზე მეტი სახელწოდების წიგნები და ბროშურები, რომელთა საერთო ტირაჟი ცხრა მილიონამდე ცალია. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამომცემლობამ და სახვითი ხელოვნების სახელმწიფო გამომცემლობამ ამავე ხნის განმავლობაში გამოსცეს ასზე მეტი სახელწოდების მხატვრული პლაკატები და ფურცლები 15 მილიონზე მეტი ცალი საერთო ტირაჟით. ბევრი წიგნი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობებზე, განსაკუთრებით ის წიგნები, რომელთა ავტორები არიან მოწინავე გამოცდილების უშუალო შემქმნელები— კოლმეურნეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, აგრონომები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, დიდი პოპულარობით სარგებლობს სოფლის მკითხველებში.

მაგრამ ასეთ წიგნებსა და ბროშურებს, რომლებშიც საქმის ცოდნით განზოგადებულია სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, ჯერ კიდევ ცოტას უშვებენ. სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღინიშნა, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა ცუდად აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაზე, ცოტას უშვებს წიგნებსა და ბროშურებს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების, ყამირი და ნახვნები მიწების ათვისების, ჩვენი ქვეყნის ცალკეული რაიონების ნიადაგისა და ჰავის პირობების შესაბამისად აგროტექნიკის სწორად გამოყენების საკითხებზე.

ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ფურცლებისა და მრავალფეროვანი პლაკატების დროზე გამოშვებას, შეცდომებს უშვებს სოფლის მეურნეობის გამოცდილების გაზიარების მიზნით გამოცემულ კარტოთეკაში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამომცემლობა. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევენ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემას.

დამაკმაყოფილებლად არ უშვებს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას ზოგიერთი ადგილობრივი გამომცემლობაც. კერძოდ, თურქმენეთის რესპუბლიკურმა გამომცემლობამ შარშან სოფლის მეურნეობის საკითხებზე გამოუშვა სულ ათი ბროშურა, რომელთა შორის არც ერთი არ არის მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ების, უხვი მოსავლის ოსტატების, საუკეთესო მეცხოველეების გამოცდილების შესახებ. გამომცემლობა წელსაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით ლიტერატურის გამოცემას. სეროზულ პრეტენზიებს უყენებენ მკითხველები ყირგიზეთის, ჩკალოვის, ხაბაროვსკისა და ზოგიერთ სხვა გამომცემლობებს.

მაგრამ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ გამომცემლობანი ცოტას უშვებენ წიგნებს მოწინავე გამოცდილების შესახებ. სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების შესახებ ბროშურებში ხშირად ფაქტები ზერელედ არის აღწერილი, მათში არ არის ნაჩვენები მუშაობის ახალი ხერხებისა და მეთოდების არსი, არამედ აღნუსხულია მხოლოდ მიღწეული შედეგები.

ეს მეტწილად ხდება იმის გამო, რომ გამომცემლობანი სუსტად არიან დაკავშირებული კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხოვრებასთან, უნარი არ შესწევთ შერჩიონ წიგნებში გასაშუქებლად ნამდვილად მოწინავე გამოცდილება. ზოგჯერ პოპულარიზაციას უკეთებენ ისეთ მეურნეობებს, რომლებიც მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით მოწინავენი არ არიან.

ამ ბოლო დროს გამოსულ ზოგიერთ წიგნში დაშვებულია უხეში შეცდომები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირეული საკითხების გაშუქებაში. მთელ რიგ გამოცემებში პროპაგანდა ეწეოდა მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შაბლონურ გამოყენებას ჩვენი ქვეყნის ნიადაგისა და ჰავის სხვადასხვა ზონის პირობების და მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკული გამოცდილების გაუთვალისწინებლად.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა, რომელსაც საბჭოთა ხალხი წყვეტს, დაბეჯითებით მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემის საქმის ძირეულ გაუმჯობესებას. საჭიროა შინაარსიანი წიგნები და ბროშურები, რომლებიც პროპაგანდას გაუწევენ საუკეთესო კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორების ნამდვილად მოწინავე გამოცდილებას, მუშაობის ახალ ხერხებსა და მეთოდებს. საჭიროა, რომ ეს წიგნები და ბროშურები ეხმარებოდნენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობასა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის წარმადობის გადიდებაში. გამომცემლობათა ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ უწინარეს ყოვლისა ის მეურნეობები და ნოვატორები, ვისი მიღწევაც და გამოცდილებაც წარმოდგენილია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ყოველ გამომცემლობაში, რომელიც მოწოდებულია გამოუშვას სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, გულდასმით უნდა მოიფიქრონ წიგნებისა და ბროშურების თემატიკა, შეარჩიონ ავტორები მათ დასაწერად, ფართოდ ჩაბან ამ საქმეში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კვალიფიციური მეცნიერი მუშაკები და პრაქტიკოსები.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ გამოიცეს წიგნები და ბროშურები, მიძღვნილი გამოცდილების განზოგადებისადმი მარცვლეულის მეურნეობაში, რომელიც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს უმაგალითო მასშტაბის სამუშაოები ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. საბჭოთა ადამიანები ნამდვილ გმირობას, სიმტკიცეს იჩენენ ამ ამოცანის გადაწყვეტაში. უკვე არის ახალი მიწების ათვისების მდიდარი გამოცდილება. მაგრამ, საკვირველია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გამომცემლობათა მოუქნელობა, რომლებმაც ცოტა რამ გააკეთეს იმისათვის, რომ მოეგვარებინათ ლიტერატურის გამოცემა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ.

წლითიწლობით იზრდება საბჭოთა მეურნეობების როლი ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ამავე დროს ძალიან ცოტა გამოდის ლიტერატურა საბჭოთა მეურნეობების წარმოების ორგანიზაციის, მათ მიერ მიწის სრული და რაციონალური გამოყენების, საუკეთესო მეურნეობების მუშაობის შესახებ. საბჭოთა მეურნეობების, განსაკუთრებით ახალი საბჭოთა მეურნეობების მუშაკები გამომცემლობებისაგან მოელიან შინაარსიან წიგნებს საბჭოთა მეურნეობების წარმოების შესახებ.

პარტიამ და მთავრობამ დასახეს ამოცანა — მივაღწიოთ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას, მაქსიმალურად გამოვიყენოთ მძლავრი ტექნიკა, შევამციროთ ყველა სახეობის პროდუქციის თვითღირებულება. მაგრამ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებანი და გამომცემლობანი ჯერ კიდევ ძალიან ცუდად ამუშავებენ და აშუქებენ ლიტერატურაში კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის საარსებო პრობლემებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მატერიალური დაინტერესების გადიდების საკითხებს. ეს საკითხები აღელვებენ პარტიულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა ლიტერატურის გამოცემისას, სამწუხაროდ, გვერდს უვლის ამ საჭიროროტო თემებს.

სოფლის მეურნეობის მექანიზატორები და სპეციალისტები განიცდიან საცნობარო ლიტერატურის მწვავე ნაკლებობას. არ არის კარგი ცნობარები ტრაქტორისტისათვის, კომბაინერისათვის, მტს-ის მექანიკოსისათვის, აგრონომისა და ზოოტექნიკოსისათვის. ასეთი ცნობარების მომზადებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ისინი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მახობრივი პროფესიების მუშაკთა ნიადაგსახმარი წიგნი უნდა იყოს, უნდა შეეესაბამებოდეს მათ მოთხოვნებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრ აქტუალურ საკითხზე ლიტერატურის ნაკლებობასთან ერთად წიგნის მაღალიების თაროებზე აწყვია დიდძალი წიგნები, რომლებსაც არავინ არ ყიდულობს. ამაში ბრალი მიუძღვით უწინარეს ყოვლისა გამომცემლობებს. ისინი არ სწავლობენ სოფლის მშრომელთა მოთხოვნას ლიტერატურაზე, ხშირად უშვებენ უსარგებლო, ცხოვრების მოთხოვნებს მოწყვეტილ წიგნებს. სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემის გაუმჯობესება ნიშნავს უწინარეს ყოვლისა იმას, რომ დავხუროთ არხები, რომლებითაც ხდება პრაქტიკისათვის უვარგისი, ხშირად ხალტურული წიგნების გამოშვება.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. იგი მოითხოვს ადგილობრივი პარტიული ორგანოების გულმოდგინე ყურადღებას. მათი ამოცანაა ღრმად ჩასწვდნენ გამომცემლობათა საქმიანობას, წარმართონ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოშვების მთელი მუშაობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

„პრავდის“ 30/VIII მოწინავე.

ბორისა და კასპის რაიონებმა შეასრულეს პურის დამზადების გეგმები

ბორის რაიონის კოლმეურნეობებმა 101,6 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა სიმინდის გამოკლებით.

კასპის რაიონის კოლმეურნეობებმა 29 აგვისტოსათვის 103,9 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა სიმინდის გამოკლებით.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★ ★

ორმოცი ათასი რაციონალიზატორი

საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოებში ამჟამად 40 ათასზე მეტი რაციონალიზატორია. წლის მხოლოდ პირველ ნახევარში მიღებულ წინადადებათა ნაწილის დანერგვა სახელმწიფოს 140 მილიონ მანეთზე მეტ წლიურ ეკონომიას მისცემს.

დიდი წარმატებანი მოიპოვეს სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის, გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის, სიზრანის კომბაინის ქარხნისა და სხვა საწარმოთა ნოვატორებმა. მოსკოვისა და გორკის საავტომობილო ქარხნების რაციონალიზატორებმა 18 მილიონ მანეთისაზე მეტი შავი და ფერადი ლითონები დაზოგეს.

საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრის ბრძანებით რაციონალიზატორთა, გამომგონებელთა და მუშაკთა ჯგუფი, რომლებმაც ხელი შეუწყეს წინადადებათა რეალიზაციას, დაჯილდოებულია ნიშნით „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანი“. დაჯილდოებულთა შორის არის მოსკოვის სარემონტო-საკისრის ქარხნის ზეინკალი ამხ. ვორონკოვი, რომელმაც ავგო საკისარის რგოლების ღარების სახეხი ჩარხი-ავტომატი. ეს ჩარხი ორნახევარჯერ ადიდებს შრომის ნაყოფიერებას და ბევრად აუმჯობესებს დასამუშავებელი ზედაპირის სიწმინდეს. ახლა ასეთი ჩარხები საკისარის ყველა ქარხანაში ინერგება. (საკდესი).

რკინა-ბეტონი ლითონისა და ხის ნაცვლად

დნეპროძერჟინსკი, 27 აგვისტო. (საკდესი). დღეს „ძერჟინსკსტროის“ სამშენებლო ტრესტის კოლექტივმა საექსპლოატაციოდ დადასა ორი ახალი საშუალო სკოლა. მათი აგების დროს ლითონისა და ხის ნაცვლად გამოყენებულია ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები. კერძოდ, ამ კონსტრუქციებით გაკეთებულია სართულთაშორისი და სხვენის გადახურვები. ამ შენობათა მშენებლობაზე დაზოგილია 500 კუბურ მეტრზე მეტი ხე-ტყის მასალა.

ფართოდ იყენებენ რკინა-ბეტონის დეტალებს საბინაო მშენებლობაში, ძერჟინსკის სახელობის ქარხნის მეტალურგთა სამ მრავალბინიან სახლში არ არის ლითონისა და ხის კოჭები. ასაწყობი რკინა-ბეტონის გამოყენებით დაზოგილია 450 ტონა ლითონი.

წელს რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დანერგვით მშენებლებმა ხარისხოვანი ლითონის ნაცვლად საშუალოდ დაიყვანეს 0,5 ტონამდე სანცხოვრებელი სახლების თვითეულ ათას კუბურ მეტრზე, ნაცვლად 15 ტონისა გასულ წელს.

„დნეპროსტროიდეტალის“ ტრესტის დამხმარე საწარმოთა კომბინატმა, რომელიც დნეპროძერჟინსკელ მშენებლებს ამარაგებს, რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოშვება შარშანდელთან შედარებით გაადიდა 18 პროცენტით. ათვისებულია ბევრი ახალი სახეობის ნაკეთობა: კიბის მარშები, ჭერის გადასახურის დიდი პანელები, საძირკვლის საფუძველთა ბიმინჯები, მილები და რკინა-ბეტონის სხვა პროდუქცია.

ფართოდება საწარმოო ბაზა. დაწყებულია პოლიგონის მოეწყო მშენებლობა. მისი მწყობრში ჩადგმით რკინა-ბეტონის გამოშვება ერთიორად და უფრო მეტად გაიზრდება.

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მიღება

1 სექტემბრიდან ჩვენი ქვეყნის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და სამთო-სამრეწველო სკოლებში დაიწყება ახალგაზრდობის მორიგი მიღება, ამ სასწავლებლებში მიიღებენ ათეულობასამბრი ჯაბუკსა და ქალიშვილს. სწავლის პერიოდში ისინი მიიღებენ მემონტაჟის, კალატოზის, ხუროს, შემლესავის, მღებავის, მნგრეველის, მებეგის, გვირაბგამყვანის და სხვა სპეციალობას.

სკოლებში მიიღებიან 16-17 წლის ჯაბუკები, ხოლო ზოგიერთი პროფესიის მიხედვით — 18 წლის ჯაბუკები და 16-18 წლის ქალიშვილები. მიმდინარე წლიდან იმ სკოლებში, რომლებიც ამზადებენ მუშებს ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობისათვის, პირველად შეიძლება მიღებულ იქნან საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი 23 წლამდე ასაკისა, რომლებმაც განაცხადეს სურვილი ისწავლონ ამ სასწავლებლებში.

მეცადინეობა სკოლებში დაიწყება სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტების მიხედვით. (საკდესი).

უმაღლესი სამეჯრო სკოლის ახალი ფაკულტეტი

მოსკოვის უმაღლეს სავაჭრო სკოლაში ეწყობა საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგიური ფაკულტეტი. იგი გამოუშვებს კულინარიის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. სწავლის ვადა ფაკულტეტზე ოთხწლიანია.

ამ ფაკულტეტზე იღებენ საზოგადოებრივი კვების მუშაკებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო განათლება და წარმოებაში მათი მუშაობის სტაჟი უდრის სულ ცოტა სამ წელს.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი მიიღებენ კულინარ-ტექნოლოგის კვალიფიკაციას. (საკდესი).

სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს პურის დამზადების გეგმა

სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც იბრძვიან სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს, ვადამდე შეასრულეს პურის დაზადების სახელმწიფო გეგმა, მათ შორის სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის მუშაობისათვის ნატურანაზღაურების, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვის წესით პურის გაყიდვის დავალება. სახელმწიფოს ჩაბარდა მნიშვნელოვნად მეტი პური, ვიდრე შარშან. უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურის — ხორბლის დამზადების გეგმა შესრულებულია 121 პროცენტით. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად უზრუნველყვეს თავიანთი თავი მაღალხარისხოვანი თესლით საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის.

ორიოლის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს პურის დამზადების გეგმა

ორიოლის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის, ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა, აგრეთვე სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების დავალება. სახელმწიფოს ჩაბარდა ერთნახევარჯერ მეტი პური, ვიდრე შარშან, უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურის — ხორბლის დამზადების გეგმა შესრულებულია 144 პროცენტით. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველყვეს თავიანთი თავი თესლით საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის, განაგრძობენ მარცვლეულის გაყიდვას სახელმწიფო შესყიდვის წესით და პურს აძლევენ კოლმეურნეებს შრომადღეებზე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მეცხოველეობის პავილიონში განსაკუთრებით მომეწონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ჩვენ საქმით დავრწმუნდით, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის ბაგურ შენახვას, კომბინირებული საკვების მომზადებას, ცხოველთა ღამით ძოვებას, საერთოდ პირუტყვის წესიერ, კარგ მოვლას. გამოფენაზე ნახული ძროხების პროდუქტიულობასთან შედარებით მცირეა ჩვენი კოლმეურნეობის პირუტყვის წველადობა — თვითეულ საფურაე ძროხაზე 8 თვის განმავლობაში მივიღეთ 1.200 ლიტრი რძე და ახლა ვცდილობთ ავიყვანოთ იგი 1.400-მდე, გეგმა კი 1.000 ლიტრს ითვალისწინებს.

მტკიცედ გადავწყვიტეთ მომავალ წელს პირუტყვი მთლიანად გადავიყვანოთ მექანიზებულ წველაზე, მექანიზებული გავხადოთ საკვების მოწოდება და მეცხოველეობის სხვა შრომატევადი სამუშაოები. ამისათვის კოლმეურნეობას აქვს საამანადო სახსრები.

გადავწყვიტეთ აგრეთვე უკეთ მოვუაროთ მოზარდეულს, კერძოდ, შემოვიღოთ ხბოების ხელოვნური კვება, მკვეთრად გავაუმჯობესოთ ჯიშიანობა. წალკის რაიონის პირობებში ჩვენს კოლმეურნეობას შეუძლია იყოლიოს შვიცის ჯიშის ძროხები.

გამოფენის ნახვის შედეგად ვალდებულებას ვკისრულობ მივაღწიოთ იმას, რომ რძის წველადობის წლიური გეგმა შეასრულოთ 140 პროცენტით და 100 პროცენტით შევინარჩუნოთ ნამატი.

ა. ანდრესიანი,
წალკის რაიონის სოფელ აშკალას კოლმეურნეობა „კარმარ ასტღის“ თავმჯდომარე, გამოფენის ექსკურსანტი.

* * *

ჩვენი კოლმეურნეობა კარტოფილითა და ბოსტნეულით ამარაგებს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისს. შარშან კარტოფილის მოსავალი მივიღეთ ჰექტარზე საშუალოდ 200 ცენტნერი, როცა გეგმა 150 ცენტნერს ითვალისწინებდა. წელს ვალდებულება გვაქვს აღებული 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე სამშობლოს მივცეთ 250 ცენტნერი კარტოფილი.

მაგრამ, როცა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კარტოფილის მაღალი მოსავლის ოსტატების, ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობების მოწვევებს დავეცანით, დავრწმუნდით, რომ კიდევ მეტი მრისავლის მოღება შეგვიძლია. მაგალითად, გამოფენაზე ვნახეთ „ლორხის“ და „მაყესტიკის“ კარტოფილი. ისინი კარგად ეგუებიან ჩვენი რაიონის პირობებს, უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის „მაყესტიკი“, ამიტომ ნათესი ფართობის 90 პროცენტზე ეს ჯიში დავთესეთ.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ კარტოფილის მოსავლიანობის ძირითადი პირობაა მისი კვადრატულ-ბუდობრივი თესვა და შემდეგ ორმხრივი დამუშავება მექანიზმებით. ასეთივე მნიშვნელობა აქვს მინერალური სასუქების შეტანას დარგვამდე, ხოლო შემდეგ მეორე გამოკვებას.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე ამიერიდან ვიმუშავებთ ისე, რომ მოვიპოვოთ გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

ა. კარაგეზოვი,
წალკის რაიონის სოფელ ოლიანკის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გამოფენის ექსკურსანტი.

მოსკოვში მყოფმა ეთიოპიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის გენერალურმა დირექტორმა ატო აბრაჰამ დემერემ ინახულა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. **სურათზე:** ატო აბრაჰამ დემერე და სოციალისტური შრომის გმირები — გამოფენის მონაწილეები საქართველოს სს რესპუბლიკიდან. მარცხნიდან მარჯვნივ — გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის მერგოლური თარბა, ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ა. გოგიტიძე, ატო აბრაჰამ დემერე და ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ა. ჯიჯავაძე.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა. (საკდესის ფოტოკრონიკა).

მალცევის სისტემით დამუშავებულ მასივებზე

კუსტანაი. (საკდესი). ტარანოვსკის რაიონის კოლმეურნეობათა მინდვრებში დამთავრდა მოსავლის აღება მალცევის სისტემით დამუშავებულ მასივებზე. სასოფლო-სამეურნეო არტელმა „სტეპნოი კრესტიანინმა“ ას ჰექტარ ნაკვეთზე, სადაც ხორბალი დაითესა მხოლოდ ათშილ ნაწვერალზე, თვითეულ ჰექტარზე 2-3 ცენტნერით მეტი ხორბალი მიიღო. შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობამ 180 ჰექტარი ფართობის მასივმა თვითეულ ჰექტარზე მოგვცა 20 ცენტნერი ხორბალი, რაც ოთხი ცენტნერით მეტია, ვიდრე საკონტროლო ნაკვეთებზე. რაიონის კოლმეურნეობებში წელს ტ. ს. მალცევის სისტემის აგროტექნიკა გამოსცადეს 800 ჰექტარზე. ყველგან მიღებულია მოსავლის მატება.

ყაზახეთის ტარანოვსკის რაიონი უკვე მესამე წელიწადია საცდელ ნაკვეთებზე ცდის ახალ სისტემას. მტს-ის სპეციალისტები და მექანიზატორები ზაფხულის დამდეგს ესტუმრნენ მალცევს, დაათვალიერეს ყანები, გაიცნეს ნიადაგის დასამუშავებელი იარაღები, მოისმინეს ნოვატორის ლექცია. ახლა რაიონის კოლმეურნეობებში გამოყოფილია მასივები, სადაც ფართო მასშტაბით გამოიყენებენ ახალ აგროტექნიკას—უფრთო გუთნით ღრმა ხვნას, ათშვას.

გამოყოფილ ნაკვეთებზე ყველგან დაიწყო ხვნა და ნაწვერალის ათშვა.

მომავალ წელს რაიონის კოლმეურნეები ნიადაგის დამუშავების ახალ სისტემას 50 ათას ჰექტარზე გამოიყენებენ.

მეშახტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

28 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა მეშახტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მაღაროელები. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე ფაშისტი სტუმრები — ჩინეთის, პოლონეთის, გერმანიის მაღაროელთა დელეგაციები.

მეშახტის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა ა. თ. ზასიადკომ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ჩინელ, პოლონელ და გერმანელ მაღაროელთა დელეგაციების წარმომადგენლებმა. დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

ახალი გემი შავ ზღვაზე

ოდესა, 28 აგვისტო. (საკდესი). შავი ზღვის სახელმწიფო საზღვაო ნაოსნობას ახალი გემები ემატება. ოდესის ნავსაგებურში ჩამოვიდა დიდტონაჟიანი ტანკერი „კლიპედა“, რომელიც აშენდა სსრ კავშირის ქარხანაში.

საბჭოთა კონსტრუქტორებმა და გემმშენებლებმა იზრუნეს იმისათვის, რომ შეექმნათ მაქსიმალური მოხერხებულობა გემის მართვასა და სატვირთო ოპერაციების წარმოებაში, მეზღვაურთა ყოფაცხოვრების მოწყობა-მოწესრიგებაში. ეკიპაჟის ყოველ წევრს ცალკე კაიუტა აქვს, კარგად მოწყობილია კაიუტ-კომპანია, წითელი კუთხე და სხვ.

ნოვო-მოსკოვსკის „ბორჯომი“

ნოვო-მოსკოვსკი (დნეპროპეტროვსკის ოლქი), 30 აგვისტო. (საკდესი). სოფელ ზნამენოვკაში, სოლიონსი ლიმანის ახლოს, აღმოაჩინეს მინერალური წყლის შადრევანი. ოდესის კურორტოლოგიის ინსტიტუტისა და უკრაინის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომისიის დასკვნით მას აქვს სამკურნალო თვისებები, რაც არ ჩამოუვარდება ბორჯომის ცნობილ ტუტოვან წყაროებს.

„ზნამენოვკის“ ნატურალურ-მინერალურ წყალს აქვს სასიამოვნო გემო. ნოვო-მოსკოვსკისა და დნეპროპეტროვსკის სამედიცინო დაწესებულებებმა, რომლებმაც ეს მინერალური წყალი კუჭის დაავადებათა მკურნალობისათვის გამოიყენეს, დიდ ეფექტს მიაღწიეს.

ამ დღეებში აქ მწყობრში ჩადგა ზნამენოვკის წყაროს მინერალური წყლის ჩამოსასხმელი სპეციალური საამქრო. იგი ყოველწლიურად გამოუშვებს ნახევარ მილიონ დეკალიტრ სამკურნალო სასმელს.

ახლა მიმდინარეობს მუშაობა კიდევ ორი მძლავრი არტეზიული ჭისა და „ზნამენოვკის“ მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის ასაგებად.

50 ათასი თვითმავალი კომბაინი

ტაგანროგი, 30 აგვისტო. (საკდესი). სტალინის სახელობის ქარხნიდან ახალ ათობით თვითმავალ კომბაინთან ერთად ჩვენი ქვეყნის მინდვრებში გაიგზავნა მანქანა, რომელსაც აქვს ნომერი „50.000“.

ტაგანროგელი კომბაინმშენებლები ადიდებენ მოსავლის ასაღები მანქანების გამოშვებას. რვა თვეში თვითმავალი კომბაინების წარმოება შარშანდელთან შედარებით 19 პროცენტით გადიდდა. უძღვნიან კომბაინის კონსტრუქციას.

წელს ქარხანაში დამზადდა და გამოსაცდელად გაიგზავნა 200-ზე მეტი ახალი მანქანა, მათ შორის თვითმავალი ელექტროკომბაინი, მუხლუხა კომბაინი ტენიანი ნიადაგის რაიონებში სამუშაოდ, მანქანები სალეწი დანადგარის გაუმჯობესებული კონსტრუქციით, რვამეტრიანი ხედვრით და სხვები.

გორისა და კასპის რაიონებმა შეასრულეს პურის დამზადების გეგმები

გორის რაიონის კოლმე

მეცხოველეობის პროდუქციულობის ამაღლებისათვის

(წერილი ცივგომბორის საძოვრებიდან)

მაღალი, ბალახოვან-ყვავილოვანი, წყაროიანი და მეტად გრილი ცივგომბორის მთა ძვირფასი საძოვარია. აქ თელავის, საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონების კოლმეურნეობათა ათასობით სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ხარბად სძოვს ლურჯად მოზიბინე ბალახს.

თელავის რაიონის ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას 220 ძროხისა და ფურკამეჩისათვის ბინები აქვს ეგრეთწოდებულ „კლდეების თავში“, „ქაცვების ფერდზე“ და „გობების თავში“. წველადობის წლიური გეგმა ფერმამ 20 აგვისტოსათვის გადამეტებით შეასრულა. თვითეულ ძროხაზე 1.031 ლიტრი რძე მოწველეს, წლიური გეგმა კი 850 ლიტრი იყო.

ვარდისუბნელთა წარმატება პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესების, კარგი კვებისა და მოვლის შედეგია. პირველ ბრიგადაში, რომელსაც გალერიან ხაბახაშვილი ხელმძღვანელობს, 65 ძროხიდან 6 სული შვაცის ჯიშისაა, დანარჩენი კი შეჯვარების გზით არის მიღებული. თვითეულ ძროხაზე 20 აგვისტომდე 1.250 ლიტრი რძე მიიღეს. ვ. ხოზაშვილმა, რომელიც 11 ძროხას უვლის, თვითეული ძროხის წველადობა 1.525 ლიტრამდე აიყვანა. იგი ყველაზე მეტად ძროხა „დოლას“ ემადლიერება. ამ ძროხამ 139 დღეში 2.238 ლიტრი რძე მოწველა.

მწყემსმა-მწველავმა ივანე ყარაულაშვილმა წლიური გეგმის გადამეტებით ასობით ლიტრი რძე ჩაბარა კოლმეურნეობას. 56 სულ ფურკამეჩს ს. მარგალიტაშვილის ბრიგადა უვლის. თელავის რაიონის კოლმეურნეობებში ფურკამეჩის წლიური წველადობა 150-200 ლიტრს არ აღემატება, ვარდისუბანში კი უკვე ხუთას ლიტრს გადაამეტეს, ხოლო ზოგიერთი ფურკამეჩი 900 ლიტრზე მეტს იწველის.

ვარდისუბნელებს მეცხოველეობაში წარმატებები აქვთ. როგორ აღწევენ ამ წარმატებებს? კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა ამხ. ჯაშიაშვილმა გვიამბო:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ მეცხოველეობის საქმეს სერიოზულად მოვკიდეთ ხელი. პირუტყვისათვის არ მოგვიკლია თივა, ჩალა, სილოსი და კონცენტრირებული საკვები. სწორად მოვაწყეთ შრომა მეცხოველეობაში. ენერგიული ზომებია მიღებული საძოვრების გასაუმჯობესებლად. ნარის ეკალი პირუტყვს უშლიდა. იგი ამოვძირკვეთ. ამიტომ იყო, რომ წლევანდლისთანა ბალახი ჩვენს საძოვრებზე არასოდეს არ ყოფილა.

შემოღებული გვაქვს პირუტყვის სადღეღამისო ძოვება. ღამით ძოვებისათვის ვიყენებთ უფრო სწორ ნაკვეთებს. ბალახს გარდა პროდუქტიულ პირუტყვს ყოველდღე ეძლევა სოიის კოპტონი და ქატო. მწყესები პირუტყვს წყალს არ აკლებენ, უმარილოდ არ ტოვებენ.

ეგრეთწოდებულ „კლდეების თავში“ პირველი ბრიგადის ბინაა აშენებული. აქ ერთ ოთახს ქარხანას უწოდებენ, და მართლაც რომ ასეა. ყველისა და კარაქის დასამზადებლად ყველა მოწყობილობა აქვთ. შ. სუმბაძე, რომელიც 23 წელია კოლმეურნეობაში მუშაობს, საუკეთესო ხარისხის ყველს ამზადებს. ყველის კეთებას რომ ამთავრებს, შემდეგ კარაქის დამზადებას იწყებს. ამ გზით წელს კოლმეურნეობამ 500 კილოგრამი კარაქი მიიღო.

რუისპირის კოლმეურნეობამ „ყურძენ-თავთავამა“ ორი წლის წინათ კოსტრომული ჯიშის 26 სული დეკეული შეიძინა. მათგან ზოგი შარშან დახბოლიდა, ზოგი წელს. ალაზნის ველზე, სადაც კოლმეურნეობას ფერმის ბინა აქვს, ჯიშიანი პირუტყვი სიცხემ შეაწუხა. პირუტყვი რომ არ დაზარალებულიყო, კოლმეურნეობის გამგეობამ იგი ცივგომბორის საძოვარზე გარეკა. „რეხილის წყაროსთან“ ძროხებისა და ხბოებისათვის საზაფხულო ბინა ააგეს. ღამით აქ ამყოფებენ პირუტყვს.

ჯიშიანი საქონელი მშვენივრად გრძნობს თავს. ადგილობრივი ჯიშის ძროხებთან შედარებით იგი 5-6 ჯერ მეტს იწველის.

კოლმეურნეობის გამგეობა ამზადებს პირობებს იმისათვის, რომ „რეხილის წყაროს“ საძოვრებზე მომავალ წელს პირუტყვი ბაგურ-ბანაკურ პირობებში ამყოფოს.

ორიოდე სიტყვა ნაკლოვანებათა შესახებ. გულგულის, შალაურის, ყარაჯალის, კონდოლისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა კუთვნილ საძოვრებს მზრუნველი ხელი არ ატყვიათ.

მთელი რიგი კოლმეურნეობები ჯიშიან ხუღა-მწარმოებლებს არ უვლიან. გულგულის კოლმეურნეობის ხუღა ნახირშია გაშვებული. ფერმის გამგემ გ. კოლელიშვილმა და ზოოტექნიკოსმა ივ. ნინიკელაშვილმა იციან, რომ ასე არ შეიძლება, მაგრამ ბუღის წესიერად მოვლისათვის თავს არ იწუხებენ.

ბუღებს კარგად არ უვლიან აგრეთვე შალაურის, კონდოლისა და სხვა კოლმეურნეობებში. ამასთან მოწყობილი არ არის ხელოვნური დათესვლის პუნქტები.

მალე ცივგომბორიდან თელავის კოლმეურნეობების მსხვილფეხა რქიანი საქონელი ალაზნის ველისაკენ დაიძვრება. საამისოდ კოლმეურნეობები წარმატებით ემზადებიან. ბინებს არემონტებენ, ფერმისპირა ნაკვეთებს ასუფთავებენ, წყლის დასალევინებელ ადგილებს აწესრიგებენ, ზამთრისათვის ემზადებიან.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციებს კარგად უვლიან. კოლმეურნეობის ვალდებულებაა მოკრიფოს 1.200 ტონა ფოთოლი ნაცვლად 1.100 ტონისა. ჩაის კრეფა წარმატებით მიმდინარეობს.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) მილიონერი მეორე ბრიგადის სტახანოველი მკრეფავები როიან ქუხილავა და დუნია ჯუმიდავა. თვითეული მათგანი ყოველდღიურად 50-50 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩაის პლანტაციებში

უხვი მოსავლის რგოლი

ზაფხულის გვალვიანმა დღეებმა წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის მესამე რგოლის ჩაის პლანტაციებს ვერაფერი დააკლო. კარგად მოვლილმა მცენარეებმა მოსავალიც მაღალი მოგვცა. ჩაის ფოთოლი უხვად შემოვიდა. რგოლის წევრები ადრე დილიდან გვიან საღამომდე ჯარასავით თავს დასტრიალებენ მათთვის მოსავლელად მიჩენილ პლანტაციებს. მეჩაიე ქალებს პირად მაგალითს უჩვენებს მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი თამარ გელოვანი.

წელს ამ რგოლმა სახელმწიფოს 27 ტონა და 300 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა ჩაბაროს. აქ მაისის, ივნისისა და ივლისის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმით უნდა მოეკრიფათ 17 ტონა და 254 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად მოკრიფეს 20 ტონა და 152 კილოგრამი, რითაც სამი თვის გეგმა 117 პროცენტით გაანაღდეს.

შარშან თ. გელოვანმა პირადად 994 შრომადღე გამოიმუშავა და ფულად 36.546 მანეთი მიიღო, პრემია-წანამატის სახით კი 8.600 მანეთი. თ. გელოვანმა 0.5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან სახელმწიფოს 6.845 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ჩაბარა.

რით აღწევს სოციალისტური შრომის გმირის თ. გელოვანის რგოლი ასეთ წარმატებებს?

მეჩაიეები უხვი მოსავლისათვის ბრძოლას ჩვეულებრივად წლის დასაწყისიდანვე იწყებენ. აგროტექნიკურ ღონისძიებებს ატარებენ ზუსტად და დროულად — შრომის სწორი ორგანიზაციის საფუძველზე. აქ პლანტაციის საზამთრო გადამბარვას იწყებენ იანვარში, ერთდროულად შეაქვთ ფოსფორი, ადრე გაზაფხულზე აწარმოებენ ბუჩქების გასხვლას. ამის შემდეგ ნიადაგში შეაქვთ აზოტოვანი სასუქი, რომელსაც ჩათოხნიან ხოლმე; სასუქი შეაქვთ აგრეთვე ივნისის შუა რიცხვებში, ხოლო სასუქის მესამე დოზა კი დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 15-20 ივლისსათვის. ტენის შესანარჩუნებლად ნიადაგს ხშირად აფხვიერებენ. მწკრივთა შორის თოხნას და კულტივაციას ჩვეულებრივად 4-ჯერ აწარმოებენ.

რგოლის წევრებიდან ფოთლის კრეფაში დაწინაურდა და ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს ე. ძაძამია. 0,5 ჰექტარიდან ამხ. ძაძამიამ გეგმით ორი ტონა ფოთოლი უნდა მოკრიფოს, ფაქტიურად ორი ტონა და 187 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი აქვს მოკრეფილი.

ჩვენ ვნახეთ გელოვანის გვერდით მომუშავე ახალგაზრდა, 13-14 წლის გოგონა გულიკო გვილია, რომელიც ძლიერ სწრაფად კრეფდა ფოთოლს. ამ გოგონაზე ამხ. გელოვანმა მოგვითხრა, რომ იგი იმავე სოფლის 8-წლიანი სკოლის მე-6 კლასში წარმატებით სწავლობს, სკოლის შემდეგ და განსაკუთრებით დასვენებისა და არდადეგების დროს პლანტაციებში აქტიურად მუშაობს.

სახელოვანმა მერგოლურმა განაცხადა:—ჩვენი რგოლი ენერგიას არ დაზოგავს, რომ შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფოს. წელს ვიბრძვით იმისათვის, რომ მოვიპოვოთ 1955 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საგჯოთა მშენებლობა

საქალაქო საბჭოს აღმასკომის ქარხნის დამხმარე მეურნეობა

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას რუსთავის განაპირა უბანში აქვს დიდი დამხმარე მეურნეობა, რომელიც მოწოდებულია მოამარაგოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეები ბოსტნეულით, ხილით, რძითა და სხვა პროდუქტებით.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გადაგვმ მ. თუშიშვილმა ქარხნის დამხმარე მეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების საკითხი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში შეამოწმა, ხოლო მაისში ამავე მეურნეობაში „შეისწავლა“ საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხი.

— შემოწმებისას დამხმარე მეურნეობაში ყველაფერი რიგზე იყო, საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ რაიმე ზომების მიღება ან ამ საკითხის აღმასკომის სხდომაზე გატანა, — აცხადებს ამხ. მ. თუშიშვილი.

მაგრამ ფაქტიურად ასე როდია. ქალაქში დიდია მოთხოვნილება კარტოფილზე, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე. ქარხნის დამხმარე მეურნეობაში გაზაფხულზე ბაღჩეული კულტურები გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარის ნაცვლად მხოლოდ 3,7 ჰექტარზე დათესეს, ბოსტნეული — 40,8 ჰექტარზე, მაშინ როცა გასული წლის ამავე პერიოდისათვის ბოსტნეული 43 ჰექტარზე ეთესათ. ადრეულ ბოსტნეულს სულ რაღაც 3 ჰექტარი უკავია, კარტოფილი კი სულ არ დაუთესიათ.

შესაძლებელი იყო წელს დამხმარე მეურნეობის გაფართოების მიზნით აეთვისებინათ ათობით ჰექტარი მიწა. მაგრამ ამისათვის არავის უზრუნია. მეურნეობის ხელმძღვანელები სახნავ-სათესი ფართობის გაზრდას იოლი, უკანონო გზით შეეცადნენ. მეურნეობას შემოუტანეს 6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელიც ინდივიდუალურ მებოსტნეებს ეკუთვნოდათ. ეს ფართობი მეურნეობის ხარჯზე დამუშავდა, დაითესა სხვადასხვა კულტურები, შემდეგ კი ნაკვეთი კვლავ ინდივიდუალურ მებოსტნეებს დაუბრუნდათ.

მოსავლიანობის გადიდების მოწინავე აგროტექნიკური ღონისძიებები დამხმარე მეურნეობაში მთლიანად უგულებელყვეს. წელს აქ სულ არ გამოუყენებიათ ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი თესვისა და რგვის პროგრესული მეთოდი, არც ერთი ნეშომპალის ქოთანი არ დაუმზადებიათ. ამასთან ნაკვეთებში გათვალისწინებული რაოდენობით არ შეიტანეს მინერალური და ორგანული სასუქები. ცუდად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს. დამხმარე მეურნეობის 2 ტრაქტორიდან ერთი მუდამ რემონტში დგას. ცხენის 6 კულტივატორი სანახევროდაც არ არის გამოყენებული. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ნათესებს ძირითადად ხელით ამუშავებენ. 4 ჰექტარი ხეხილის ბაღის ერთი მესამედი არაწესიერი მოვლის გამო გახმა.

ნაკლები ყურადღება ექცევა სასათბურე მეურნეობასაც. წელს გაზაფხულზე დამატებით 500 სათბურის ჩარჩო შეიძინეს, მაგრამ აქედან 150 ჩარჩო სასუქის უქონლობის გამო გამოუყენებელი დარჩა. სათბურებში მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის ორთქლის გამოყენების საკითხი კვლავ თეორიული დამუშავების პროცესშია.

დამხმარე მეურნეობის ნაკვეთები ნორმალურად ვერ ირწყვება. სარწყავი ქსელი ტექნიკურად მოუწყობელია. ორი წლის წინათ დამხმარე მეურნეობის ტერიტორიის მორწყვის მიზნით მტკვრის მარჯვენა ნაპირას გაეთხარა წყალსაქაჩავი სადგური, რაც 47 ათას მანეთზე მეტი დაჯდა. მტკვარმა კალაპოტი იცვალა და ამის გამო სადგური წელიწადზე მეტია დგას. ქარხნის დამხმარე მეურნეობის დირექტორმა ამხ. გ. ჩხიკვაძემ არაერთხელ აღძრა საკითხი წყალსაქაჩავი სადგურის სხვა ადგილას გადატანის შესახებ, მაგრამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

დამხმარე მეურნეობის მოსავლიდან მეტალურგიული ქარხნის სასადილოებამდე და მუშა-მოსამსახურეებამდე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აღწევს. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ მეურნეობაში მიღებული მოსავალი „რუსთავავაჭრობის“ ხილ-ბოსტნეულის ბაზარში ჩაბარების შემდეგ არასწორად ნაწილდება. ხშირია აგრეთვე შემთხვევა, როცა ქარხნის სასადილოები „რუსთავავაჭრობის“ ბაზიდან დაბალი ხარისხის ბოსტნეულს იღებენ. ამ არანორმალურ მდგომარეობას ნაკლებ კონტროლს უწევს საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილება (გამგე პ. გოგიშვილი).

საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება ქარხნის დამხმარე მეურნეობაში შედარებით მეტ ყურადღებას აქცევს მეცხოველეობის საკითხებს (დამხმარე მეურნეობას მეცხოველეობის ფერმაც აქვს). ეს საკითხი ერთხელ აღმასკომის სხდომაზეც დასვეს, მიიღეს სათანადო დადგენილება, მაგრამ მისი ერთი ნაწილი, კერძოდ, დამხმარე მეურნეობის ტერიტორიაზე მრავალწლიანი ბალახის ნათესების ფართობის გადიდება და პირუტყვის სადგომების შემოღობვა შეუსრულებელი დარჩა.

აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესრულებას ვერ ასწრებს. ეს იმის შედეგიც არის, რომ გეგმაში შეტანილ საკითხთა მომზადება დაკისრებული აქვთ მხოლოდ განყოფილების მუშაკებს. ამ საქმეში ჩაბმული არ არის დეპუტატთა აქტივი.

საჭიროა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელებთან ერთად მეტი ყურადღება მიაქციოს ქარხნის დამხმარე მეურნეობას, რომელიც მეტალურგთა მატერიალური კეთილდღეობის შემადგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტიულ თემაზე

პარტიული კრება კომუნისტთა აღზრდის სკოლაა

პარტიული მუშაობის ახალი ამოცანების დონემდე აყვანის, კომუნისტთა აქტივობისა და ინიციატივის შემდგომი ამაღლების, პირველადი ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების საქმეში დიდი როლი ეკუთვნის პარტიულ კრებას. სკკპ წესდებაში ჩაწერილია, რომ კომუნისტების საერთო კრება პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა. პარტიულ კრებაზე საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დროს მუშავდება საზოგადოებრივი შეხედულება, იქედება კოლექტივის ნებისა და მოქმედების ერთიანობა.

ასრულებს რა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ბევრი პირველადი ორგანიზაცია ახლა უკეთ ამზადებს და უფრო ორგანიზებულად ატარებს პარტიულ კრებებს, ამ კრებებზე საქმიან ვითარებაში განიხილავს უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ საკითხებს, აღწევს წარმატებებს მუშაობაში. მაღალ იდეურ დონეზე მომზადებულია და ჩატარებული პარტიული კრება რაზმავს კომუნისტებს პარტიის გადაწყვეტილებებისა და დირექტივების შესრულებისათვის. კომუნისტების კრება პარტიულ მასებს იზიდავს არა მარტო საკითხების მომზადებასა და განხილვაში, არამედ ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობაშიც; პარტიის წევრებსა და პარტიის წევრობის კანდიდატებს უვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას, განამტკიცებს კოლექტიურობას მუშაობაში და შეგნებულ დისციპლინას პარტიაში.

კომუნისტური პარტიის შემქმნელები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ პარტიული კრების უდიდეს მნიშვნელობას. გენიალური ლენინი მიგვითითებდა, რომ პარტიის წევრთა თვითმოქმედების განვითარების სხვა ღონისძიებებთან ერთად საჭიროა უფრო ხშირად და უფრო ფართოდ ეწყობოდეს პარტიული კრებები. დიდი სტალინი აღნიშნავდა, რომ პოლიტიკისა და პარტიული პრაქტიკის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლებიც კომუნისტებს აინტერესებს, პარტიულ კრებაზე უნდა გადაწყდეს.

სკკპ წესდებით დაწესებულია, რომ პარტიული კრება პირველადს ორგანიზაციაში მოწვეულ უნდა იქნას თვეში ერთხელ მაინც. პარტიის წესდების ეს ახალი დებულება ცხადყოფს პარტიული კრების მნიშვნელოვან როლს პირველადი ორგანიზაციის ცხოვრებაში.

კომუნისტთა კრება სარკესავით გამოხატავს პირველადი ორგანიზაციის მთელ საქმიანობას, მის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობას. ამიტომ პარტიული კრების გულდასმით მომზადებასა და მაღალ იდეურ დონეზე ჩატარებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს: მოწინავე პარტიული ორგანიზაციები სამუშაო გეგმის განხილვის დროს ამტკიცებენ აგრეთვე ბრიგადის შემადგენლობას, რომელმაც ესა თუ ის საკითხი უნდა მოამზადოს. ბრიგადაში შეჰყავთ გამოცდილი მუშაკები, აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტები, პარტიის წევრობის კანდიდატები. ზოგჯერ საკითხის მოსამზადებლად გამოჰყოფენ 4-5 ბრიგადას. თვითეული ბრიგადა სწავლობს ცალკე სპეციალურ საკითხს. ყველა საკითხის ღრმად და საქმის ცოდნით შესწავლა ხელს უწყობს ნაკლოვანებათა გამომძღავნებას და მათ გამოსასწორებლად სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვას.

რეგულარულად იწვევს კომუნისტთა კრებებს, მაგალითად, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. აქაური კომუნისტები სერიოზულად და მოფიქრებულად ამზადებენ საკითხებს პარტიული კრებებისათვის, ხოლო შემდეგ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის გაჩაღებით უზრუნველყოფენ დასახულ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელებას. ივნისში აქ გაიმართა პარტიული კრება, რომელმაც განიხილა პურეულის აღებისათვის მზადების საკითხი. კრების მომზადებაში საქმიანი მონაწილეობა მიიღეს არა მარტო კომუნისტებმა, არამედ უპარტიო აქტივისტებმაც. გულდასმით მომზადებულმა პარტიულმა კრებამ კომუნისტების აქტივობითა და მაღალი იდეური დონით ჩაიარა. კრების მონაწილეებმა არა მარტო გამოამჟღავნეს ნაკლოვანებანი, არამედ ამასთან ერთად დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი.

პარტიული კრების დადგენილების შესასრულებლად პარტბიურომ ბრიგადების მიხედვით გამოჰყო აგიტატორები და ჩაატარა მათთვის მეცადინეობა. კალოსთან მოეწყო საველე აგიტპუნქტი. ყოველ ბრიგადაში და კომბაინის აგრეგატზე დაიწყო „სამრძოლო ფურცლების“ გამოშვება. ბრიგადებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეულმა მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეობის დაწინაურებას: შარშანდელთან შედარებით პურეულის მოსავალი კურდღელაურელმა კოლმეურნეებმა უფრო შემჭიდროებულ ვადებში აიღეს.

უნარიანად ამზადებს და საქმიან ვითარებაში ატარებს კომუნისტთა კრებებს ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაცია. კრებებს დღის წესრიგში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის, წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვის, უბნებსა და ბრიგადებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის წარმოების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სხვა საკითხები. აქ საჭიროების მიხედვით იწვევენ აგრეთვე დიდ პარტიულ კრებებს, რაც კომუნისტებსა და უპარტიოებს შორის კავშირის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში პარტიული კრებების როლი დამცირებულია, ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა მათს მომზადებასა და ჩატარებას. ზოგჯერ კრებებს იწვევენ როცა შემთხვევა მოიტანს. ხშირად დღის წესრიგს კომუნისტები თვით პარტიულ კრებაზე ეცნობიან. ცოცხალ ორგანიზაციულ მუშაობას ხევრი დადგენილების მიღებით ცვლიან ზალენჯიხის რაიონის სოფელ ოზუჯის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ პარტიულ ორგანიზაციაში. აქ კრებები დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე იმართება, არ წარმოებს ნაკლოვანებათა მწვავე კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ფორმალურად უდგებიან კომუნისტთა კრების ჩატარებას. პარტიულ კრებაზე სამ-ოთხ საკითხს ერთად განიხილავენ. ყველა საკითხზე ხშირად ერთი და იგივე ამხანაგი გამოდის მოხსენებით, ხოლო კამათში არავინ არ მონაწილეობს. რა გასაკვირველია, რომ ასეთი კრება არავითარ სარგებლობას არ იძლევა.

დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ კრებაზე ყველა კომუნისტის დასწრების უზრუნველყოფას. საჭიროა კომუნისტებს დროზე ვაცნობოთ კრების მოწვევის საათი და ადგილი. ყოველთვის უნდა ვაწარმოოთ კომუნისტების დასწრების აღრიცხვა. საკითხი კომუნისტისა, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო კრებას, აუცილებლად უნდა გახდეს მსჯელობის საგანი. მტკიცე კონტროლის დაწესება განამტკიცებს დისციპლინას და აამაღლებს პარტიული კრების აღმზრდელობითს მნიშვნელობას. პარტბიურო ან პარტორგანიზაციის მდივანი მოვალეა უზრუნველყოს აღრიცხვაზე მყოფი ყველა კომუნისტის კრებაზე დასწრება. იმ კომუნისტებს კი, რომლებიც საპატიო მიზეზით ვერ დაესწრნენ კრებას, დაწერილებით უნდა გააცნოს მიღებული გადაწყვეტილებანი.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიულ კრებაზე განსახილველი საკითხების შერჩევასა და მომზადებას. დღის წესრიგში დაყენებული საკითხები უნდა გამოხატავდნენ ყველაზე მთავარსა და არსებითს, რაზეც მუშაობს ან რითაც სისხლხორცეულად დაინტერესებულია მოცემულ პერიოდში საწარმოსა თუ სამეწარმეო ერთეულის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. აქ კომუნისტთა საერთო კრებაზე განსახილველად არჩევენ სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

პარტიულ ორგანიზაციას კომუნისტთა კრებაზე განსახილველად უნდა გამოჰქონდეს პერსპექტიული საკითხები, რათა დროზე იქნას გამომძღავნებული ნაკლოვანებანი, მხარდაჭერა გაეწიოს ყოველივე პროგრესულსა და მოწინავეს. სწორად მოიქცა, მაგალითად, ბადიაურის მტს-ის პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც ჯერ კიდევ 5 აგვისტოს კომუნისტთა მსჯელობის საგნად გახადა საშემოდგომო თესვისათვის მზადების საკითხი. ამან ხელი შეუწყო საშემოდგომო სამუშაოებისათვის მექანიზატორების სანიმუშოდ მომზადებას. მაგრამ პარტიული ორგანიზაციები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მარტო სამეურნეო საკითხების განხილვით. საჭიროა კომუნისტთა კრებების ყურადღების ცენტრში იდგეს აგრეთვე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებიც, მათ შორის სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდის დაყენების, კაპიტალიზმის უსაზიზღრესი გადმონაშთის — ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის, მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

პარტიული კრება კრიტიკისა და თვითკრიტიკის ტრიბუნაა. პარტორგანიზაციის მდივნის ან პარტბიუროს მოვალეობაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღებას. აუცილებელია დროულად გამოვეხმაუროთ საქმიან, პრინციპულ კრიტიკას და პრაქტიკულად განვახორციელოთ კომუნისტთა წინადადებანი, გადაჭრით გავაუმჯობესოთ შესრულების შემოწმება. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ კომუნისტები ულმობლად აკრიტიკებდნენ მუშაობის ნაკლოვანებებს, ყველა მუშაკს. განურჩევლად პიროვნებისა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირია ფაქტები, როცა „ორგანიზებული აქტივობის“ უზრუნველსაყოფად ცალკეულ კომუნისტებს, უფრო მეტად კი ხელმძღვანელ მუშაკებს ავალებენ სიტყვები წარმოთქვან. ასე იქმნება „შტატის ორატორთა“ მთელი ჯგუფი, რომელთა სიტყვები ხშირად მოკლებულია სიცოცხლესა და ინტერესს.

პარტიული კრების იდეური დონე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოხსენების ხარისხზე. საჭიროა მომხსენებლად მივიზიდოთ პარტბიუროს წევრები, სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული აქტივისტები. მოხსენება კრიტიკული და თვითკრიტიკული უნდა იყოს. ასეთი მოხსენება ცხოველ კამათს და საქმიან აქტივობას გამოიწვევს.

კომუნისტთა საერთო კრებების უნარიანად მომზადებასა და ჩატარებაში პირველადს ორგანიზაციებს საქმიანი, კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიონ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მდივნებმა, განყოფილებათა გამგეებმა და ინსტრუქტორებმა.

დადგენილების მიღება საქმის მხოლოდ დასაწყისია. მთავარია ის, რომ პარტიული კრების მეორე დღესვე გავაჩაღოთ პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა მიღებული დადგენილების შესასრულებლად. პირველადი ორგანიზაციის მდივანი მოვალეა ყოველ კრებაზე კომუნისტებს უკეთებდეს ინფორმაციას, თუ როგორ სრულდება წინა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება.

ამჟამად სოფლის მეურნეობაში გადამწყვეტი დღეები დადგა. გაჩაღებულია საკვების დაგროვება და საშემოდგომო ხვნა-თესვა. მრეწველობაში ამოცანად არის დასახული 1954 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მისი თვითღირებულების შემცირება. ყველა ეს საკითხი საკოლმეურნეო და საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობის ცენტრში უნდა იდგეს.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველმხრივ გაუმჯობესონ კომუნისტთა კრებების მომზადება და ჩატარება, გადაჭრით აამაღლონ მათი როლი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების მიერ დასახულ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განსახორციელებლად პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების დაჩაზმვის საქმეში.

ვ. ივერიძე.

მივცეთ შავ მეჯალურგიას მეჯი მარგანეცი

მეტალურგებმა იციან, რომ რაც უფრო მეტი იქნება მარგანეცი, მით უფრო მეტი იქნება ფოლადი, რომ მეტი მარგანეცი ნიშნავს მეტ ლითონს. სწორედ ამიტომ არის, რომ ჭიათურელი მაღაროელები თავდადებულად მუშაობენ, მეტალურგებს უხვად აძლევენ მაღალხარისხოვანი მარგანეცის მადანს.

მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის ბრძოლის ავანგარდში კვლავ ჭიათურელთა მოწინავე რაზმი — ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივია. ამ მაღაროს კოლექტივი, რომელიც მარგანეცის ტრესტის მთელი გეგმის ნახევარს იძლევა, 20 აგვისტოდან მარგანეცს იღებს სექტემბრის ანგარიშში. პირველი ხარისხის მარგანეცის გაეროშვების გეგმა სისტემატურად 115 პროცენტით სრულდება, შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში უკვე მიღწეულია ის დონე, რაც ხუთწლედის ბოლოსათვის არის გათვალისწინებული. ლენინელებმა მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით შავი მეტალურგიის საწარმოთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, პირველი ადგილი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს.

ეს წარმატება მიღწეულია შრომის უკეთ მოწყობით, მექანიზმების გონივრულად გამოყენებით, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით. აქ ყველა პროცესი მექანიზებულია. მადნის დატვირთვის მექანიზაციამ, რაც ყველაზე შრომატევადი სამუშაოა, მთელი გამოღების 80 პროცენტს მიაღწია. მაღაროში ინერგება სანგრევების ღრმა ბურღვის ახალი მეთოდი, რომელიც ნოვატორმა მბურღავებმა გ. თოდაძემ და კ. ნადირაძემ შეიმუშავეს. მაღაროში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარმოების რეზერვების გამოყენებას და რენტაბელურ მუშაობას. მაღაროს მიღწევებში გარკვეული წილი უდევთ იმ უბნების კოლექტივებს, რომელებსაც პ. ჩაჩანიძე, ზ. გიორგაძე, შ. გამეზარდაშვილი, გ. გიქოშვილი, გ. ჩაჩანიძე და ვ. ნეფარიძე ხელმძღვანელობენ. კარგად მუშაობს ამ მაღაროს მადნის გამაუხეშებელი ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ა. მოდებაძე მეთაურობს.

ცუდად არ მუშაობენ აგრეთვე ორჯონიკიძისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, თუმცა მათ მთლიანად გამოყენებული როდი აქვთ შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა შესაძლებლობა.

მოწინავე მაღაროების გვერდით არიან ისეთი საწარმოებიც, რომლებიც გეგმის თითქმის ვერც ერთ მაჩვენებელს ვერ ასრულებენ და სხვა მაღაროთა ხარჯზე გადიან. ასე ითქმის სტალინის და ვოროშილოვის სახელობის მაღაროებზე. აქ ნაკლები ყურადღება ექცევა არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების ყველა შესაძლებლობის გამოყენებას.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეშახტეთა დაბაში

ახალციხე. (საკ. კორ.). მეშახტეთა სადამო ცენტრი — ვალე დღითიდღე იცვლის სახეს და მშვენიერდება. ცენტრალურ უბანში აგეს სამეალო სკოლის სამსართულიანი შენობა, სადაც 1.000-მდე მეშახტის შვილი სწავლობს. დამთავრდა სპორტული ბაღის და ბაგის მშენებლობა. ამენდა და ამუშავდა მუშათა სასადილო.

ორი წლის მანძილზე მუშებმა მიიღეს 3.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. დღეს მუშები დამატებით მიიღებენ ახალ საცხოვრებელ ბინებს 620 კვადრატული მეტრი ფართობის რაოდენობით.

წელს დაბის ქუჩების გაყოლებით დაირგო 30.000 ძირი მცენარე, მოეწყო გაზონები და სკვერები, მოასფალტებულია 25 ათასი კვადრატული მეტრი ქუჩები. ქუჩებში დაიდგა ლამპიონები. მოსახლეობა უზრუნველყოფილია წყლით, აბანოებით, გაყვანილია კანალიზაცია, დაბაში მოეწყო მექანიზებული სამრეცხაო.

თბილისის ლიფტები

ამ დღეებში თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ სამგზავრო ლიფტების მორიგი პარტია გაგზავნა მოსკოვსა და ტომსკში.

ქარხნის მიერ დამზადებული ლიფტები იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. სამგზავრო და მძლავრი სატვირთო ლიფტები თბილისის ქარხნის მარკით მუშაობს მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, ბაქოსა და ნოვოსიბირსკის საცხოვრებელ სახლებში, ქარხნებსა და ელემტროსადგურებში. საწარმო ამზადებს აგრეთვე სპეციალურ ლიფტებს ავადმყოფთა გადასაყვანად. ამას წინათ აითვისეს სავაკრო ლიფტების გამოშვება. ისინი განკუთვნილია პროდუქტების გადასაზიდად რესტორანებსა და კვების საწარმოებში. მათი ამწეობა უდრის 100 კილოგრამს.

200-280 პროცენტით ასრულებს დღიურ ნორმებს ვ. გოგიშვილის ლიფტამწყობი საამქროს ზეინკლთა ბრიგადა, რომელიც მუშაობს ლიფტის სარდულტორო ნაწილის აწყობაზე.

ლიფტის ჩონჩხისა და კაბინების საზეინკლო დამუშავებასა და აწყობას აწარმოებს ნ. დავიდენკოს ბრიგადა. ამ ბრიგადის მუშები დავალებებს 200-250 პროცენტით ასრულებენ. იყენებენ რა ბრიგადირ გ. კვერნაძის მიერ შექმნილ სპეციალურ სამარჯვს — მოძრავ ჩარჩოს, ზეინკლები ლიფტის კარს აწყობენ ერთიორად უფრო ჩქარა, ვიდრე წინათ.

წლის დამდეგიდან ქარხანაში დამზადდა 77 ლიფტი. ეს 10 პროცენტით აღემატება შვიდი თვის გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას. (საქდესი).

ყვარლის რაიონში

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან

რაიონის ცენტრი მშვენიერდება

ხანე შეიცვალა რაიონულმა ცენტრმა — ყვარელმა. იგი უფრო მშვენიერი და კეთილმოწყობილი გახდა. სტალინის სახელობის ქუჩაზე ასფალტი დაიგო, მისი ნაპირები ყვავილნარებმა დაამშვენეს. ჭადრის ხეები, რომლებიც დიდი ხანი არ არის რაც დარგეს, მალე დაჩრდილავს ქუჩას. ქუჩის გაყოლებით ჩაყრილი ვაშლის ხის ნერგები 3-4 წლის შემდეგ ნაყოფს დაისხამს. სამ ადგილას გაკეთდა წყარო.

რაიონულ ცენტრს ახალი, ლამაზი შენობები შეემატა. ახლახან დამთავრდა სამტრესტის ყვარლის ქარხანათა სამმართველოს და ცხოველთა სისხლის გამომკვლევი ლაბორატორიის შენობების აგება.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში

დიდძალი ახალი მასალებით გამდიდრდა მწერლის სახლ-მუზეუმის განყოფილებები: „ილიას ურთიერთობა რუს რევოლუციონერ დემოკრატებთან,“ „ილია რედაქტორ-გამომცემელი“, „ილია, როგორც მებრძოლი პოლიტექნიკური განათლებისათვის“ და სხვ.

განყოფილებაში „ილია ჭავჭავაძე და ჩვენი თანამედროვეობა“ პირველი სექტემბრიდან დაიდგმება მაგნიტოფონი, რომლითაც მუზეუმის დამთვალიერებლები მოისმენენ ილიას სიუჟეტებზე დაწერილ ოპერებს, სიმფონიებს, რომანსებს, მხატვრული კითხვის ოსტატთა მიერ შესრულებულ ილიას ნაწარმოებთა ნაწყვეტებს, მწერლის სიტყვიერ სიმღერებს: „ურმული“, „მუმლი მუხასა“ და სხვ.

ტრაქტორისტთა ახალი კადრები

ენისლის სახელოსნო სასწავლებლთან მოწყობილი იყო ტრაქტორისტთა მოსამზადებელი კურსები, სადაც 102 ახალგაზრდა სწავლობდა. ამას წინათ გამოცდებზე უმრავლესობამ საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნა.

ტრაქტორისტთა ახალი კადრები სამუშაოდ გაიგზავნენ აღმოსავლეთ საქართველოს მტხებში.

ახალი სასილოსე კოშკები და ორმოები

რაიონის კოლმეურნეობებში წელს ბევრი ახალი სასილოსე კოშკი და ორმო აშენდა. ახალსოფლის მოლმაოვის სახელობის კოლმეურნეობამ 100 ტონა ტევადობის სასილოსე კოშკი ააგო. მეორე კოშკის მშენებლობა ამ დღეებში დამთავრდება. გავაზის ვორაშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში წელს აშენდა სამას ტონაზე მეტი ტევადობის სასილოსე ორმოები.

ენისლის უდაბნოს სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც სილოსის ჩადების დავალება 102 პროცენტით შესრულდა, წელს ააგო ასი ტონა ტევადობის ორმო.

ახალი წიგნები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა შემდეგი ბროშურები:

ვ. კოტოვი — კ. მარქსი და ფ. ენგელსი რუხეთისა და რუხი ხალხის შესახებ. რუსულიდან თარგმნა დ. ფურცელაძემ. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 6.000, გვ. 87, ფასი 2 მან.

ზ. რატიანი — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 63, ფასი 2 მან.

ლ. ალექსიძე — მშვიდობისათვის ბრძოლა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 7.000, გვ. 38, ფასი 1 მან.

დ. ენუქიძე — სსრ კავშირის ბრძოლა მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 12.000, გვ. 45, ფასი 1 მან.

გერმანელ მშრომელთა სოლიდარობა

ბერლინი, 28 აგვისტო. (საკდესი). 27 აგვისტოს გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალურმა გამგეობამ ბერლინში მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მშრომელთა საგაფიცვო მოძრაობას, რაც ფართოდ გაჩაღდა დასავლეთ გერმანიაში.

პრეს-კონფერენციას დაესწრო 40 ბავარიელი მელითონე მუშა, რომლებმაც უამბეს შეკრებილთ, თუ რა პირობებში მიმდინარეობს გაფიცვა ბავარიაში. მათ განაცხადეს, რომ გაფიცულთ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ, რათა სავსებით დაამაყოფილდეს ხელფასის გადიდების მოთხოვნები და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თავიანთი საგაფიცვო ბრძოლა მიაჩნიათ ბრძოლად დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და ომის მზადების ბონის პოლიტიკის წინააღმდეგ.

პრეს-კონფერენციაზე ილაპარაკა გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარემ ჰერბერტ ვარნკემ. მან აღნიშნა, რომ ხელფასის გადიდებისათვის მოძრაობამ, რომელიც დაიწყო დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში, უკვე მოიცვა 5 მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე.

ვარნკემ უარყო ბონის ხელისუფალთა ყალბი მტკიცებანი, რომ „მეტისმეტი“ გაფიცულთა მოთხოვნები. ბონის ოფიციალური მონაცემების მიხედვითაც კი დასავლეთ გერმანელ მშრომელთა 45 პროცენტი ყოველთვიურად 150 მარკაზე ნაკლებს იღებს, მაშინ როცა დასავლეთგერმანელი იმპერიალისტების მოგებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში, დაახლოებით 150 მილიარდ მარკას მიაღწია.

ვარნკემ აღნიშნა, რომ დასავლეთგერმანელი კაპიტალისტები და ბონელი ხელისუფლები ცდილნენ ტერორისტული ღონისძიებანი გამოიყენონ გაფიცულ მშრომელთა და მათ პროფკავშირთა წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ეს მოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების გეგმებთან და შეშფოთებას იწვევს გერმანიის მუშათა კლასში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები, თქვა ვარნკემ, ღრმა სოლიდარობას უცხადებენ გაფიცულთ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებმა დასავლეთ გერმანიის გაფიცულ მშრომელთა დასმარების ფონდისათვის უკვე შეაგროვეს მილიონ მარკაზე მეტი.

დასასრულ ვარნკემ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან დასავლეთგერმანელ გაფიცულ მშრომელთათვის გაგზავნილი სურსათის ამანათებს კონფისკაციას უშერებიან, აგრეთვე ბონის ხელისუფალთა სხვა უკანონო მოქმედების წინააღმდეგ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების საქმეთა სგბჯს-სამდივნოს ცნობა

ბერლინი, 28 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების საქმეთა სტატს-სამდივნოს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დასავლეთ გერმანიის გელენის ჯაუშური ორგანიზაციის ერთ-ერთი დაატმრებული აგენტის ბინაში ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს დოკუმენტი — ეგრეთწოდებული „გენერალური დავალება ყველასათვის!“, რომელიც შეადგინა გელენის დაზვერვის ცენტრალურმა აპარატმა ამერიკელთა მითითებით.

დოკუმენტი შეიცავს დირექტივებს გელენის აგენტების საქმიანობისათვის ომის შემთხვევაში და შედგება 16 პუნქტისაგან. ამ დოკუმენტის მეორე პუნქტში, კვრძოდ, აღნიშნულია, რომ აგენტები ვალდებულნი არიან გამოაკვლიონ რკინიგზის ხაზებზე, გზებზე, ხიდებზე, კავშირგაბმულობის ხაზებზე, მაგალითად, ტელეგრაფსა და მის მსგავს დაწესებულებებზე მოკავშირეთა სამხედრო-საპაერო ძალების თავდასხმის შედეგები, თვალყური ადევნონ შესაბამის აღდგენის სამუშაოებს, ახალი ხიდებისა და გზების მშენებლობას, ლიანდაგების დაგებას და სხვ.

„გენერალური დავალების“ მე-12 პუნქტი ავალებს აგენტებს აღრიცხონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ეკონომიური ღონისძიება. ამასთან ერთად დოკუმენტი მოითხოვს აგენტებისაგან შეაგროვონ ცნობები, თუ რა დონეზეა მრეწველობის წარმოება იმ საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ ელექტროენერგიას, ძირითად ნედლეულს ქიმიური მრეწველობისათვის, მოითხოვს გამოარკვიონ საწარმოებზე მოკავშირეთა სამხედრო-საპაერო ძალების თავდასხმების შედეგები და აგრეთვე თვალყური ადევნონ დანგრეულ საწარმოთა აღდგენის ცდებს და მათს ამუშავებას.

„გენერალური დავალების“ მე-15 პუნქტში აგენტებს რჩევა ეძლევათ აწარმოონ მოკავშირეთა საჰაერო თავდასხმების შედეგად გერმანელი მოსახლეობის დანაკარგთა აღრიცხვა და აგრეთვე თვალყური ადევნონ ტრანსპორტის მოძრაობას რკინიგზებსა და ავტოსტრადებზე, აცნობონ ჰოსპიტლების განლაგებისა და ეპიდემიების გავრცელების შესახებ.

„გენერალური დავალება“ შეიცავს აგრეთვე მითითებას გელენის აგენტებისადმი თვალყური ადევნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მონაწილე ჯარების მოძრაობას.

სლოვაკი ხალხის აჯანყების 10 წლისთავი

ბრატისლავა, 28 აგვისტო. (საკდესი). სლოვაკიის დედაქალაქი ბრატისლავა მორთულია სადღესასწაულოდ. ქარი აფრიალებს ერთად აღმართულ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშებს — ორი მოძმე ხალხის ურღვევი მეგობრობის სიმბოლოს. შენობების ფრონტონებზეა ლოზუნგები: „მხარდამხარ საბჭოთა კავშირთან ჩვენი ხალხების ურღვევი ერთიანობით, წინ სოციალიზმისა და მშვიდობისათვის!“.

დღეს ბრატისლავაში დაიწყო ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ სლოვაკი ხალხის აჯანყების მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული.

ამ ღირსშესანიშნავი თარიღის დღესასწაულზე ბრატისლავაში ჩამოვიდნენ მუშათა და გლეხთა დელეგაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სპეციალ სტუმართა შორის არიან ჰიტლერელ დამპყრობთაგან სლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლების ყოფილ მონაწილეთა საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის წევრის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ს. კოვპაკის მეთაურობით, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ. გ. კრეკოტენი.

დილით ვაგზალში ათასობით მშრომელი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დელეგაციას რესპუბლიკის პრეზიდენტ ა. ზაპოტოცკის მეთაურობით.

ღღისით ბრატისლავის სადღესასწაულოდ მორთულ ეროვნულ თეატრში გაიმართა სლოვაკიის ეროვნული საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა სახალხო აჯანყების 10 წლისთავს. სხდომას დაესწრნენ პრეზიდენტი ა. ზაპოტოცკი, პრემიერ-მინისტრი ვ. შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნოვოტნი, კ. ბაცილეკი, საბჭოთა დელეგაციის წევრები ს. კოვპაკის მეთაურობით, სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ჩეხოსლოვაკიაში ბ. გ. კრეკოტენი.

მოხსენება სლოვაკი ხალხის აჯანყების 10 წლისთავის შესახებ გააკეთა ვ. შიროკიმ.

სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს საბჭოთა ხალხისადმი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია რუმინეთში

ბუქარესტი, 28 აგვისტო. (საკდესი). ბუქარესტში 28 აგვისტოს ჩავიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, ხელმძღვანელობენ ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ანასტას მიკოიანი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ანასტასი ბერგი, ანასტასი ბელენკაია, ანასტასი ბელენკაია, ანასტასი ბელენკაია

ნერუს განცხადება ინდოეთის შეკავების საბჭოში

ლონდონი, 27 აგვისტო. (საკ.). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, შეაჯამა რა შტატების საბჭოში ორი კვირის საპარლამენტო კამათი საგარეო პოლიტიკაზე, კვლავ გამოხატა შეშფოთება იმ მოლაპარაკების გამო, რომელიც სეტტომბერში უნდა მოხდეს მანილაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის შექმნის შესახებ. მან დაახასიათა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის მომავალი კონფერენცია, როგორც „წარუმატებელი“ და შიში გამოთქვა, რომ მას შეუძლია გააძლიეროს და არა შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა.

ნერუმ განაცხადა, რომ იგი არ ცდილობს ოურადიულად გამოარკვიოს, შეესაბამება თუ არა ფილიპინების კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შინაარსს, „მაგრამ, როგორც მე ვფიქრობ, იმის ნებართვა, რომ შეიქმნას რეგიონალური ორგანიზაციები, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება იძლევა საეჭვოა შეეფარდოს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უკვე შექმნილია, იქნება ეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკი, თუ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაცია. მე ვეხები მათ სულისკვეთებას და არ ვეხები იურიდიულ ინტერპრეტაციას“, — განაცხადა ნერუმ.

ინგლისის დელეგაციის შთაბეჭდილებანი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ნახვით

ლონდონი, 28 აგვისტო. (საკ.). 27 აგვისტოს ლონდონს დაბრუნდა ინგლისის დელეგაცია, რომელმაც დაათვალიერა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოსკოვში. დელეგაციის წევრებმა პრეს-კონფერენციაზე ილაპარაკეს თავიანთ შთაბეჭდილებებზე.

ინგლისის მიწათმოქმედების სამინისტროს მთავარმა მეცნიერმა მრჩეველმა ჯეიმს სკოტ უოტსონმა დიდი ქებით დაახასიათა ის სტუმართმოყვარეობა, რომელიც გაუწიეს დელეგაციას საბჭოთა კავშირში. დელეგაციის წევრებს, თქვა მან, შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ „საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობა, ისევე, როგორც ყველა სხვა დარგი, ვითარდება გიგანტური მასშტაბით.“

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორმა უ. ხ. კეშმორმა განაცხადა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პავილიონმა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის მემცენარეობის ინსტიტუტის დირექტორმა დოქტორმა გ. ა. ბელმა, ილაპარაკა რა საბჭოთა კავშირის სასელექციო სადგურების შესახებ, აღნიშნა: „იქ უდიდესი ყურადღება ექცევა იმას, რომ გლეხებმა საჭირო თესლი მიიღონ“.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 28 აგვისტო. (საკ.). ეროვნულ კრებაში გუშინ საღამოს დამთავრდა ტუნისსა და მაროკოში მთავრობის პოლიტიკისა და ინდოეთში საფრანგეთის სამფლობელოთა საკითხის განხილვა.

გამოვიდა რა კამათში, კომუნისტმა დეპუტატმა გენერალმა მალრე-ჟუენვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტუნისსა და მაროკოში შექმნილი მდგომარეობა გამოხატავს ამ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდას. მოაგონა რა მთავრობის დაპირება — მისცეს ტუნისს „საშინაო ავტონომია“, მალრე-ჟუენვილმა განაცხადა: „მენდეს-ფრანსის განცხადება ტუნისის შესახებ განსხვავდება მის წინამორბედთა განცხადებებისაგან. მაგრამ ნამდვილი განსხვავება შესაძლებელია დამტკიცდეს მხოლოდ ფაქტებით“.

მთელი რიგი დეპუტატების გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა მთავრობის მეთაურს მენდეს-ფრანსს. მოკლედ შეჩერდა რა ტუნისის მდგომარეობაზე, იგი გადავიდა მაროკოს პრობლემაზე და აღნიშნა, რომ დადგა „კონსტრუქციულ გადაწყვეტილებათა“ მიღების დრო. მაგრამ მენდეს-ფრანსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობა არ ითვალისწინებს შარშან ჩამოგდებული ყოფილი სულთნის სიდი მოჰამედ ბენ იუსეფის დაბრუნებას მაროკოს ტახტზე. აღუთქვა რა, რომ მაროკოელ ხალხს „თანდათანობით“ მიენიჭება „საკუთარი საქმეების მართვის“ უფლება, მთავრობის მეთაურმა მოუწოდა მაროკოელებს გამართონ „საფრანგეთ-მაროკოს ლოიალური და თავისუფალი მოლაპარაკება“.

451 ხმით 122 ხმის წინააღმდეგ ეროვნულმა კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც შეიტანეს რადიკალებმა ობრის, ვალპრეგმა და ბეილემ და რომელიც იწონებს მთავრობის განცხადებას ამ საკითხზე.

ინდოეთში საფრანგეთის სამფლობელოთა საკითხზე კრებამ 371 ხმით 215 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს მთავრობას განაგრძოს მოლაპარაკება ინდოეთის მთავრობასთან.

დღეს ეროვნული კრება შეუდგება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხის განხილვას. პრესის ცნობით, ამ საკითხზე კამათში მონაწილეობის მისაღებად უკვე ჩაწერა 80-ზე მეტი დეპუტატი.

მდგომარეობა ბრაზილიაში

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო. (საკ.). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, ბრაზილიის მუშათა პარტიის ეროვნულმა აღმასკომმა გამოაცხადა, რომ იგი უკრძალავს პარტიის წევრებს პოსტები დაიკავონ კაფე ფილოოს მთავრობაში.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტის მიერ რიო-დე-ჟანეიროდან გადმოცემული ცნობით, ტანკები პატრულობენ პორტალეგრეს ქუჩებს. სადაც პროფკავშირების ხელმძღვანელები ცხოვრობენ. საყოველთაო გაფიცვას. სან-პაულოს მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს 2 სექტემბერს.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ბრაიერი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, მასთან საუბარში ფინანსთა მინისტრმა გუდინმა განაცხადა, რომ ახალი მთავრობა წაახალისებს უცხოელთა (ე. ი. ჩრდილოეთ ამერიკის) კაპიტალის დაბანდებას ბრაზილიაში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკეშა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტისადმი

ბერლინი, 28 აგვისტო. (საკ.). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დღეს გამოაქვეყნა ტექსტი დეპეშისა, რომელიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულ კომიტეტს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები, ნათქვამია დეპეშაში, ძლიერ აღაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის აკრძალვამ.

„თქვენი პარტიის აკრძალვა იერიშია დემოკრატიის უაღრესად ელემენტარული პრინციპების წინააღმდეგ. იგი ლახვრის ჩაცემაა ამერიკელი ხალხის უფლებებისათვის, რომლებიც გარანტირებულია კონსტიტუციით, სერიოზული ნაბიჯია ფაშიზმის გზაზე.

უაღრესად მტკივეა პროტესტს ვაცხადებთ ამ აკრძალვის წინააღმდეგ და გარწმუნებთ ჩვენს ძმურ სოლიდარობასა და მხარდაჭერაში.

ფაშიზმმა გერმანიაში სწორედ ისე, როგორც ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ტერორი დაიწყო მუშათა კლასის პარტიაზე შეტევით. კომუნისტური პარტიის აკრძალვას მოჰყვა პროფკავშირებისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების გაუქმება და შეუფერხებელი მზადება მეორე მსოფლიო ომისათვის, რომელმაც აუარაცხელი უბედურება დაატეხა თავს კაცობრიობას.

გამოცდილება გვასწავლის, რომ როცა იმპერიალისტური წრეები ესწრაფვიან ახალ სამხედრო ავანტიურებს, ისინი მშრომელთ ართმევენ დემოკრატიულ უფლებებს, რათა ჩაახშონ მათი მისწრაფება მშვიდობისაკენ...

ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალი ფეხქვეშ თელავს ამერიკელი ხალხის დემოკრატიულ და თავისუფლებისმოყვარულ ტრადიციებს. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, ცდილობენ რა განახორციელონ მსოფლიო ბატონობის დაპყრობის თავიანთი გეგმები, აქეზებენ ფაშიზმს, ადენაუერის მთავრობასთან შეკავშირებულნი, ისინი დასავლეთ გერმანიაში ხელახლა აღორძინებენ გერმანიის მილიტარიზმს და სდევნიან გერმანელ პატრიოტებს.

ანტიკომუნისტური ისტერია და მაკარტიზმი ვერ ჩაახშობენ ამერიკელი ხალხის პროგრესულ და სამშვიდობო მისწრაფებას.

შვეიცარიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკეშა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიისადმი

სტოკჰოლმი, 28 აგვისტო. (საკ.). როგორც გაზეთი „ნიუ დაგი“ იუწყება, შვეიცარიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სოლიდარობის დეპეშა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურ პარტიას.

„ძვირფასო ამხანაგებო, — ნათქვამია დეპეშაში, — დემოკრატიის მტრების სერიოზულ მუქარასთან დაკავშირებით ჩვენ ძმურ სოლიდარობას ვუცხადებთ და მივესალმებით ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კომუნისტს. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ კი არ დააშინებენთ თავს ამ ფაშისტური გამოხდომებით, არამედ კვლავ გააძლიერებთ ბრძოლას მშვიდობისა და დემოკრატიის პოლიტიკისათვის“.

დეპეშაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრენი შვეიცარიაში აღშფოთებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპარტიისა და ყველა დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების დევნით.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ საფრანგეთს გამორიცხავს დიდ სახელმწიფოთა რიცხვიდან

ვენსან ორიოლის განცხადება

პარიზი, 28 აგვისტო. (საკ.). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ვინსან ორიოლმა დელეგაციას, რომელმაც იგი ინახულა, განუცხადა:

„დარწმუნებული ვარ, რომ თვითეული დეპუტატი შეიგნებს იმ გადაწყვეტილების სერიოზულობას, რომლის მიღებასაც აპირებს. უკვდება საფრანგეთის ბედი და მშვიდობის ბედი.

ყოველგვარი ზეგავლენა იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინონ კენჭისყრაზე (ეროვნულ კრებაში „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საკითხზე. — რედ.), რასაც, სამწუხაროდ, აქეზებს გარკვეულ ფანტასტიკურ განწყობილებასთან დაკავშირებული წარმოუდგენელი შეცდომები, დარწმუნებული ვარ წააწყდება საფრანგეთის პარლამენტის ღირსებას, სიდინჯესა და ეროვნულ სულისკვეთებას.

რაც შემეხება მე, ჩემი აზრი არ შეცვლილა. მე ეს აზრი 1950 წლის ოქტომბერსა და 1951 წლის მარტსა და ოქტომბერში შეძლებისამებრ გამოვთქვი შენიშვნებში, რომლებსაც რჩევისა და გაფრთხილების ხასიათი აქვთ მთავრობისათვის. მე ამ შენიშვნებს გამოვაქვეყნებ ამ დღეს, როცა ეს კამათი ისტორიის კუთვნილება გახდება.

დღეს ვსარგებლობ თავისუფალი მოქალაქის უფლებით, რათა გამოვააშკარავო გერმანიის ხელახლა შეიარაღების საფრთხე რამდენიმე საჯელმწიფოს სამხედრო კოალიციის ჩარჩოშიც ეს ცხადყო და კვლავაც ცხადყოფს თავის შეურიგებელ მტრობას ევროპის თავდაცვითი გაერთიანებისადმი, რომელიც განამტკიცებდა ვერმანიის შეიარაღებას და დაამარცხებდა ევროპის უშიშროებას და მშვიდობის საქმეს.

ერის წარმომადგენლებს და დეპუტატებს, რომელნიც უაღრესად სერიოზული გადაწყვეტილებისა და უაღრესად დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგანან, ვუცხადებთ: „არა, გერმანიის შეიარაღება გარდუვალი არ არის. საფრანგეთის, მისი დამოუკიდებლობისა და მშვიდობის ხსნისათვის განთავისუფლების ამ მეათე წლისთავზე უპასუხეთ ერის ნებას:

უარყავით „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება!„

წინააღმდეგობა გაუწიეთ გერმანიის შეიარაღებას!“.

მოითხოვეთ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება!“.

უარვყოთ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმები

პარიზი, 28 აგვისტო. (საკ.). გუშინ პარიზის საზამთრო ველოდრომზე გაიმართა პარიზელ მშრომელთა მასობრივი კრება, მიძღვნილი „ევროპის არმიის“ შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლისადმი. კრება მოიწვია მშვიდობის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმმა. კრების პრეზიდიუმში იყვნენ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის, შრომის საყოველთაო კონფედერაციის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ მონაწილეთა და ომის მსხვერპლთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ქალთა და ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრებაზე გამოსულმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა უარყოფილ იქნას პარიზის ხელშეკრულება, რომელიც კატასტროფისა და ომის გზაზე აყენებს საფრანგეთს.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ფრანგმა ხალხმა მთელ საფრანგეთში „ხალხდა ეროვნული ფრონტ“ ... ...